ეკონომიის ფონდი—კომუნიზმს!

—ამ დევიზით ვაჩაღებთ შეჯიბრებას!

მანქანათმშენებელთა შესანიშნავი თაოსნობა

უნდა გავაძლიეროთ მანეთით კონტროლი წარმოების ყველა სფეროში. ეკონომია დიდსა და პატარა საქმეში, ბუნებრივ სიმდიდრეთა და მატერიალურ ფასეულობათა მიზანშეწონილი გამოყენება უნდა ავიყვანოთ სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსების საერთო კრების

მიმართვა

საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, ყველა მზრომელს

სურათზე: ქარხნის მოწინავე ადამიანები, რომლებმაც სიტყვები წარმოთქვეს კრებაზე. მარცხნიდან მარჯვნივ: ამწყობ-მექანიკური უბნის უფროსი ა. ხუციშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბ. სამადაშვილი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ზეინკალი ი. ნარხოვი, საექსპერიმენტო უბნის უფროსი ოსტატი ნ. ლეჟავა და კომუნისტური შრომის დამკვრელი ხარატი ი. სინჯარაძე.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხი უკვე შეუდგა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებას.

საბჭოთა ადამიანებს ახალი შრომითი გმირობისათვის აღფრთოვანებს ახალი პროგრამა, რომელშიც დასახულია კომუნიზმის მშენებლობის ნათელი ამოცანები.

მშრომელები ყველგან აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

კომუნიზმის მშენებლობის საქმის წარმატებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ ულმობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ მფლანგველობას ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის გამოყენებაში, ყველა საშუალებითა და ღონისძიებით მივაღწიოთ ეკონომიას.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმოები, სადაც დიდია დახაკარგები, ადგილი აქვს გადახარჯვებს, დიდია პროდუქციის თვითღირებულება. წარმოება წაგებით მუშაობს და ამით სახელმწიფოს ზარალს აყენებს.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ზარალიანი საწარმოები მოუთმენელია. უნდა გავაძლიეროთ მანეთით კონტროლი წარმოების ყველა სფეროში. მომჭირნეობით ვხარჯოთ ნედლეული და მასალები, სათბობი და ელექტროენერგია. ყოველი დაზოგილი მანეთი მოვახმაროთ კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზის შექმნის დიად საქმეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საწარმო შედარებით ახალგაზრდაა, ამ მხრივ გვაქვს გარკვეული წარმატებები. მოკლე დროში ავითვისეთ მცენარეთა მკვებავი კულტივატორების (კრ-2) სერიული წარმოება, გამოვუშვით ორი სახეობის საცდელი ჩაის საკრეფი მანქანები, ვენახის ვაზთაშორის დასამუშავებელი გუთანი — კულტივატორები და შევუდექით მთიანი რაიონებისათვის მეტად საჭირო ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების — გამწევი ჯალამბრის პირველი პარტიის გამოშვებას. კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ახალ მანქანებს ვითვისებთ, წარმოება რენტაბელურია და სახელმწიფოს ვაძლევთ ეკონომიას.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მიღწეულს დავჯერდეთ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის კოლექტივი, მშობლიური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული, ამოცანად ისახავს ტექნიკური პროგრესის გზით მკვეთრად შეამციროს მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ხარჯვა, შრომითი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე და ამით უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სათადარიგო ნაწილების თვითღირებულების განუწყვეტელი შემცირება, რაც იძლევა დამატებით სახსრებს კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

ჩვენ ვაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის დევიზია — ეკონომიის ფონდი — კომუნიზმს, მოგმართავთ მოწოდებით, რათა მხარი დაუჭიროთ ჩვენს ამ ინიციატივას. ქარხნის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს:

1. **15 პროცენტით შეამციროს პროდუქციის შრომატევადობა;**
2. **პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღოს 15 ათასი მანეთი ეკონომია;**
3. **დაზოგოს 100.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია;**
4. **გამოუშვას 30 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიის გზით;**
5. **რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით მიიღოს 30 ათასი მანეთი პირობითი წლიური ეკონომია;**
6. **განახორციელოს შემდეგი ღონისძიებანი ნაწარმის შრომატევადობის შესამცირებლად:**

ა) გაზარდოს გაჭიმვის გამოყენება ამოტეხის ნაცვლად 2 დეტალის ოპერაციებზე;

ბ) გაადიდოს სახარატო-რევოლვერული დამუშავების გამოყენება 15 მასობრივი დეტალის ოპერაციებზე;

გ) გაადიდოს პაკეტებად დამუშავების გამოყენება 10 დეტალის ოპერაციებზე;

დ) გაადიდოს მაღალი სიხშირით ზედაპირული ელექტროწრთობა ნაცვლად მოცულობითი წრთობისა 20 დეტალზე;

ე) დანერგოს 5 აწევითი-სატრანსპორტო მოწყობილობა;

ვ) დანერგოს ტიპური ტარა ოპერაციებს შორის დეტალების გადასაადგილებლად;

ზ) აამოქმედოს 20 ერთეული ახალი სრულყოფილი მოწყობილობა.

ვიღებთ რა ამ ახალ ვალდებულებებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ნაწარმის შრომატევადობის შესამცირებლად, მოგმართავთ მოწოდებით მხარი დაუჭიროთ ჩვენს ინიციატივას, ახალი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ზეგეგმითი დაგროვებისათვის, შევქმნათ ეკონომიის ფონდი, რომელიც მოხმარდება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზის შექმნას. ეს იქნება გაგრძელება და გაღრმავება იმ საქმისა, რომელიც საქართველოს მუშათა კლასმა წამოიწყო, როცა დაიწყო ბრძოლა შვიდწლედის ეკონომიის ფონდის შექმნისათვის და შესანიშნავი წარმატებებიც მოიპოვა.

მოწყობილობის მოდერნიზაცია

ამწყობ-მექანიკური უბნის უფროსი ოსტატის ა. ხუციშვილის სიტყვიდან

მთელი ჩვენი ქარხნის კოლექტივის თითქმის ერთი მეოთხედი ნაწილი მუშაობს ჩვენს უბანზე და გასაგებია, რომ ამ უბნის გამართულ მუშაობას გადამწყვეტი გავლენა აქვს საერთო-საქართველო საწარმოო მიჩვენებლების დონისათვის. საერთო-საქართველო სოციალისტურ ვალდებულებათა დიდი წილიც ჩვენი უბნის კოლექტივზე მოდის.

უადრესად საჭიროდ მიმაჩნია ამთავითვე შევუდგეთ ჩვენი ქარხნის მოწყობილობის მოდერნიზაციას, რათა არსებული დანადგარებით შევძლოთ ძირითადი საწარმოო პროცესების მექანიზაციის განხორციელება. ეს დიდად შეგვიწყობს ხელს ნაკლისრი ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში, შრომატევადობის შემცირებაში. შრომატევადობის შემცირების მეორე პირობად მიმაჩნია უბნის მომარაგება კარგი ნამზადით. ამ ამოცანის გადაწყვეტაში მეტი დახმარება მოეთხოვებათ ჩვენს ტექნოლოგებს. მათი ვალია ამ დარგში მეტი და უფრო ნაყოფიერად იმუშაონ, ვინაიდან ეს არის ნაკეთობათა შრომატევადობის შემცირების დიდი რეზერვი.

მთავარია აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის გაძლიერება, პროდუქციის გამოშვებაზე ყველა დანახარჯის შემცირება. ყოველივე ეს უნდა განვუმტარტოთ ყველა მუშას და ეს გაგვიხსნის გზას ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისაკენ.

გადამწყვეტია კვალიფიკაცია

კომუნისტური შრომის დამკვრელი ხარატის ი. სინჯარაძის სიტყვიდან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებები აღფრთოვანებს მთელ საბჭოთა ხალხს იმისათვის, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს კომუნიზმის მშენებლობაში. ჩვენი ვალია ნაკლები დანახარჯებით გამოვუშვათ მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია. ეს რომ გავაკეთოთ, საჭიროა ყოველთვის წინასწარ გვექნეს დავალება მთელი თვისათვის, უზრუნველყოფილი ვიყოთ ნამზადით, იქ, სადაც შესაძლებელია, გადიდებულ იქნას მექანიკურად დასამუშავებელი დეტალების პარტიები, რათა ხარატები გაუცდენლად ვმუშაობდეთ.

გასაგებია, რომ ჩვენი უბნის სახარატო-რევოლვერული ჩარხების დატვირთვა შრომის ნაყოფიერების დიდი ზრდის მომასწავებელია.

1962 წლისათვის პირადად ვკისრულობ მოვამზადო ორი ახალგაზრდა მუშა, შევასწავლო მათ ხარატობა და შევათვისებინო მაღალნაყოფიერი შრომის მეთოდები.

ქარხნის მთავარი ინჟინერის ა. კოფნერის სიტყვიდან

დეტალების დიდი ჯგუფის დასამზადებლად ნარჩენების გამოყენებამ გაადიდა ლითონის გამოყენების კოეფიციენტი.

კულტივატორ კრ-2-ის უტაროდ შეფუთვის გამოყენების რაციონალურად გადაწყვეტამ, რაც ამხანაგებმა ნ. ლეჟავამ და მ. იაილოვმა წამოაყენეს და დანერგეს, 5.000 მანეთზე მეტით შეამცირა თვითღირებულება.

სტანდარტული და სერიული ნაწარმის უნარიანად გამოყენება ნაცვლად იმ ნაწარმისა, რომელიც ქარხანაში მცირე პარტიებით მზადდებოდა ლითონტევადი ნამზადისაგან, მასალების ხარჯვის და შრომატევადობის შემცირების დიდმნიშვნელოვანი წყაროა.

შარნირების გამოყენება, რომლებსაც ახლა აბაშის მექანიკური ქარხნისაგან ვიღებთ თვითმავალი შასის ორი კვანძისათვის, იძლევა თვითღირებულების შემცირებას წელიწადში 10 ათას მანეთზე მეტით.

უკანასკნელ სამ წელიწადში წარმოების მოწინავეებმა, კომუნისტური შრომის დამკვრელებმა — ხარატებმა ი. სინჯარაძემ, უ. ტალიკოშვილმა, ზეინკალმა პ. დიდენკომ, მჭედელმა გ. ტურიაშვილმა თითქმის ერთიორად გაადიდეს შრომის ნაყოფიერება.

ისინი შრომაში მაგალითს წარმოადგენენ და მოამზადეს ახალგაზრდა მუშები, რომლებმაც არა მარტო ოსტატობის პროფესიული ჩვევები აითვისეს, არამედ იმისკენ მიისწრაფვიან, რომ მუდამ აღწევდნენ შრომის სულ უფრო მაღალ ნაყოფიერებას. უბნების უფროსების ა. ხუციშვილის, ა. ღარიბიანის, ბ. ჭანტურიას, ნ. ლეჟავას აქტიურმა მუშაობამ ათეულ ათასობით მანეთი დაუზოგა სახელმწიფოს.

ნაწარმის შრომატევადობის შემცირებისათვის ბრძოლა ქარხანაში ტექნიკურ საფუძველზე წარმოებს. ახალი, უფრო სრულყოფილი მოწყობილობისა და დამუშავების მაღალნაყოფიერი ტექნოლოგიური პროცესებისა და მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს შრომითს დანახარჯებს. სამ წელიწადში სმ-მგ თვითმავალი შასის შრომატევადობა თითქმის ორჯერ შემცირდა. ამ დეტალების 80 პროცენტის წრთობა, რომლებიც თერმულ დამუშავებას გადიან, ხდება ზედაპირული მაღალი სიხშირის წრთობით, რაც ხუთჯერ უფრო ნაყოფიერია, ვიდრე მოცულობითი წრთობა.

ყველა ზემოთ დასახელებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ჩვენი ქარხნის ნაწარმის თვითღირებულება მცირდება არა მარტო წლითიწლობით, არამედ თვიდან თვემდეც.

დანახარჯები პროდუქციის საბითუმო ღირებულების 1 მანეთზე გეგმის გადამეტებით 1960 წელს 7 პროცენტით შემცირდა, ხოლო 1961 წლის 10 — თვეში 2 პროცენტით. სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ფაქტიურმა შემცირებამ წინა წელთან შედარებით 1959 წელს შეადგინა 4,3 პროცენტი, 1960 წელს — 8,2 პროცენტი, 1961 წლის ათ თვეში—21,5 პროცენტი.

მუშაობა, რომელიც ამ მიმართულებით ქარხანაში ხორციელდება, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს წარმოების მექანიზაციისთვისაც.

ეკონომია—ფონდი—კომუნიზმი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი.
№ 280 (12194)
სამშაბათი, 12 დეკემბერი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.

ჩვენი დანაზღვა—მრეწველობის განვითარებას

ქარხნის მთავარი ინჟინერის ა. კოფნერის სიტყვიდან

სკკპ XXII ყრილობა, რომელმაც საბჭოთა კავშირის ხალხებს უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, აკავებს ჩვენს მრეწველობას უზრუნველყოს შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება და პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება ყველა რეზერვისა და წყაროს გამოყენებით.

ემყარება რა ამას, ქარხნის კოლექტივი ცდილობს მიაღწიოს პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემდგომ შემცირებას. ამისათვის ვამუშავებთ კონკრეტულ ქმედით ღონისძიებებს.

ქარხანაში მასალების ეკონომიას მთელი კოლექტივის ფართო შემოქმედებითი მონაწილეობით ვაღწევდით და ეს ვრცელდებოდა წარმოების ყველა სტადიაზე, ნამზადის მიღებიდან მზა პროდუქციის შეფუთვამდე.

თავისუფალი ჭედვის ნაცვლად დატვიფრის გამოყენების გადიდებამ, შესადუღებელი ლითონკონსტრუქციებისათვის შედგენილი ნამზადების ნაცვლად მთლიანი გრეხილი ნამზადების დანერგვამ მოგვცა შავი ლითონის ნაგლინის ხარჯვის დამატებითი შემცირება ქარხნის ძირითად ნაწარმზე — სმ-8 გ თვითმავალ შასიზე.

ᲘᲫᲜᲔᲑᲐ 5.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ

საექსპერიმენტო უბნის უფროსი ოსტატის ნ. ლეჟავას სიტყვიდან

ჩვენი საექსპერიმენტო უბნის კოლექტივი პარტიის ისტორიულ XXII ყრილობას ცუდი მაჩვენებლებით როდი შეხვდა. ათვისებული და გამოშვებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის დიდად საჭირო 6 ახალი მარკის ასზე მეტი მანქანა.

ამით ამაყობს ჩვენი უბნის კოლექტივი, რომელსაც განუმტკიცდა რწმენა საკუთარი ძალებისადმი და მომავალი წლისათვის კისრულობს შემდეგ გადიდებულ ვალდებულებებს:

1962 წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით გამოუშვას 150 ცალი მცენარეთა საკვები კულტივატორი „კრ-2“; აითვისოს წელის ახალი მანქანების — ჯალამბრების წარმოება სამთო მიწათმოქმედებისათვის და გამოუშვას ეს მანქანები ისეთი რაოდენობით, რამდენიც საჭირო იქნება; მომავალი წლის განმავლობაში წარმოვადგინოთ 20 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა განხორციელება საწარმოს მისცემს სულ ცოტა 5.000 მანეთის ეკონომიას; შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება და ავამაღლოთ ხარისხი, ხოლო 1962 წლის მეორე ნახევარში ვიმუშაოთ ტექნიკური კონტროლორის უყოლოდ და მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი უბანი აღიარებულ იქნას კომუნისტური შრომის უბნად.

ასეთია ჩვენი უბნის ვალდებულებები. ამხანაგებმა დამავალეს განვაცხადო, რომ ამ ვალდებულებებს წარმატებით გავანაღდებთ.

სურათზე: ქარხნის მთავარი ინჟინერი ა. კოფნერი საამქროს უფროსებსა და ოსტატებს აცნობს ახალ ვალდებულებებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲗᲣ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ—ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ!

პარტიული ორგანიზაციის მდივნის ბ. სამადაშვილის სიტყვიდან

ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ მთავარ ამოცანად დაისახა გააცნოს ჩვენს საწარმოში მომუშავე ყოველ კომუნისტს, ყოველ მუშას საპარტიო XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, მოაწყოს საქმე ისე, რომ მთელმა კოლექტივმა ღრმად შეისწავლოს ყრილობის მასალები, რაც ხელს შეგვიწყობს მუშაობის ახლებურად გარდაქმნაში.

ასეთია ახლა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ამოცანა, და ვფიქრობ იგი წარმატებით იქნება შესრულებული, ვინაიდან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის გვაქვს ყველა პირობა — 1961 წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები წარმატებით სრულდება, დღეისათვის უკვე გაწეულია 100 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია, შვიდწლედის ფონდში უკვე შეტანილია 50 ათასი მანეთი.

ჩვენს კოლექტივს აქვს სხვა მიღწევებიც: ათვისებულია მცენარეთა მკვებავი კულტივატორების (კრ-2) სერიული წარმოება და მათი გამოშვების გეგმა შესრულებულია ვადაზე ადრე. გამოშვებულია ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების 8 საცდელი პარტია; გამოშვებულია აგრეთვე ორი სახეობის ჩაისაკრეფი მანქანა და ვენახის ვაზთა შორის დასამუშავებელი გუთანი-კულტივატორები; შევუდექით მუშაობას მთიანი რაიონებისათვის საჭირო ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების — გამწევი ჯალამბრების პირველი პარტიის გამოსაშვებად. ამ გამწევი ჯალამბრების გამოყენება დიდად შეუწყობს ხელს მთიანი რელიეფის პირობებში, დიდად დაქანებულ ადგილებზე მიწათმოქმედების მექანიზაციის განხორციელებას.

ამ გონებამახვილური კონსტრუქციის მანქანის შექმნაში თავი ისახელეს ჩვენს ქარხანაში მომუშავე ახალგაზრდა კონსტრუქტორებმა — ნ. ჭაჭიაშვილმა, მ. იაილოვმა, ნ. ლობუანიძემ, ა. ბაგროვმა, გ. ჯანგულოვმა, ა. ფეოდოროვმა.

ფართოდ გაჩაღდა და უკვე მასობრივი გახდა ჩვენს საწარმოში მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის. ამწყობ უბანს უკვე მიკუთვნებული აქვს კომუნისტური შრომის უბნის სახელი. ამ სახელის მოპოვებისათვის იბრძვიან და წარმატებებსაც აღწევენ საინსტრუმენტო და საექსპერიმენტო უბნების კოლექტივები.

კომუნისტური შრომის დამკვრელების დევიზია ყოველდღიური ბრძოლის გაძლიერება პროდუქციის თვითღირებულების თანდათანობით შემცირებისათვის, შრომის ნაყოფიერების შეუნელებელი ზრდისათვის, ნედლეულის, საწვავისა და ელექტროენერგიის ხარჯვაში მომჭირნეობისათვის და პროდუქციის შრომატევადობის შემცირებისათვის.

პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების ამოცანამ გვიკარნახა ავამაღლოთ ქარხანაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე, ხოლო ამისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ ქარხანასთან ჩამოგვეყალიბებინა ლექტორთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ქარხნის დირექტორი ი. ყუჟუნაშვილი. ლექტორებად გამოყოფილი არიან ყველაზე მომზადებული ჩვენივე მუშაკები. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ აგიტატორებთან მუშაობას და ყოველდღიურ დახმარებას ვუწევთ საქარხნო კომკავშირულ ორგანიზაციას.

ყველა ეს ღონისძიება უკვე გვაძლევს კარგ შედეგს. ქარხნის კოლექტივი მტკიცედ ეუფლება რიტმულ მუშაობას, წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ ნოვატორთა მაჩვენებელი ყველას კუთვნილება გავხადოთ. „თუ ერთმა შეძლო — ყველა შეძლებს“ — ასეთი დევიზით მუშაობს ჩვენი ქარხნის კოლექტივი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲖᲔ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

კვირას, 10 დეკემბერს, სსრ კავშირის დიდ თეატრში დაიდგა ოპერა „ჯადოქარი“, გენიალური რუსი კომპოზიტორის პ. ჩაიკოვსკის ეს კლასიკური ნაწარმოები მუდამ დიდი წარმატებით სარგებლობს. თეატრი, როგორც ყოველთვის, ხალხით იყო გაჭედილი.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. ი. შელეპინი.

თეატრში მყოფნი გულთბილად მიესალმნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. (სკკ „სკ“).

ლანჩხუთი. გასულ კვირას ლანჩხუთელებმა შეაჯამეს თუ როგორ შესრულდა რაიონში მარცვლეულის წარმოების 1961 წლის დავალება.

რაიონში წარმოებულია 18.185 ტონა მარცვლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 11.700 ტონისა. ჩაის გასაშენებლად უნდა მომზადებულიყო 80 ჰექტარი ნიადაგი, მომზადდა 85 ჰექტარი და უკვე გაშენებულია 42,5 ჰექტარი ახალი პლანტაციები.

* * *

თბილისი. განსაკუთრებული აღმავლობით მუშაობს საბურთალოს აგურის ქარხნის კოლექტივი. განვლილ კვირაში მეაგურეებმა შეაჯამეს მუშაობის შედეგები და აღმოჩნდა, რომ წლიური გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 50.000 ცალი წითელი აგური. ამასთან 8,5 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება და 2 პროცენტით შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება.

ყვირილა. (საკ. კორ.). პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის კვლავ თავდადებულად შრომობს კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი ს. კვარაცხელია, პარტბიუროს მდივანი ო. ჯოგანიშვილი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე პ. კაპანაძე), რომელმაც გასულ კვირაში წლიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა და 1962 წლის ანგარიშში უკვე გამოიღო ათას ტონობით ზეგეგმითი მარგანეცი.

თბილისი. განსაკუთრებული აღმავლობით მუშაობს საბურთალოს აგურის ქარხნის კოლექტივი. განვლილ კვირაში მეაგურეებმა შეაჯამეს მუშაობის შედეგები და აღმოჩნდა, რომ წლიური გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 50.000 ცალი წითელი აგური. ამასთან 8,5 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება და 2 პროცენტით შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება.

ᲩᲘᲗᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის კვლავ თავდადებულად შრომობს კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი ს. კვარაცხელია, პარტბიუროს მდივანი ო. ჯოგანიშვილი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე პ. კაპანაძე), რომელმაც გასულ კვირაში წლიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა და 1962 წლის ანგარიშში უკვე გამოიღო ათას ტონობით ზეგეგმითი მარგანეცი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. განსაკუთრებული აღმავლობით მუშაობს საბურთალოს აგურის ქარხნის კოლექტივი. განვლილ კვირაში მეაგურეებმა შეაჯამეს მუშაობის შედეგები და აღმოჩნდა, რომ წლიური გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 50.000 ცალი წითელი აგური. ამასთან 8,5 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება და 2 პროცენტით შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲐᲡᲔᲑᲨᲘ

ᲡᲙᲙᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

„ᲡᲙᲙᲐ პროგრამა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამაა“ — ამ თემაზე მოწყო 9 დეკემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის და კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გაერთიანებული თეორიული კონფერენცია.

შესავალი სიტყვით კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა ვ. მერკვილაძემ.

მოხსენება გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ყვანიამ. პარტიის ახალი პროგრამა, თქვა მომხსენებელმა, თანამედროვე ეპოქის დიადი თეორიული და პოლიტიკური დოკუმენტია.

ახალი პროგრამა კომპასია არა მარტო საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებისათვის. იგი უსახავს აგრეთვე ყველა ხალხს მშვიდობის, შემოქმედებითი შრომის, კეთილდღეობისა და ბედნიერების ეპოქის გზას.

სკკპ ახალი პროგრამის დიდი მიმზიდველი ძალა ის არის, რომ იგი ამკვიდრებს კომუნისტური ჰუმანიზმის პრინციპებს, ხალხთა მშვიდობისა და ძმობის იდეებს. სოციალისტური სახელმწიფოს მთელ ძლიერებას იგი აყენებს მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის სამსახურში.

თეორიულ კონფერენციაზე გამოვიდნენ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები გ. სისხარულიძე და ფ. ლომაშვილი, პარტიის XXII ყრილობის დელეგატები—თბილისის პირველი ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტიკომის მდივანი ლ. დავითაძე და ძველი ბოლშევიკი ი. ფრანგულიანი. მათ აღნიშნეს, რომ სკკპ XXII ყრილობის მიერ ახალი პროგრამის მიღება საბჭოთა ხალხის, სოციალისტური ქვეყნების მშრომელების, ყველა კეთილი ნების ადამიანის დიდი დღესასწაულია. მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები თავდადებული შრომით ახორციელებენ ყველაზე ნათელ და კეთილშობილურ იდეალებს, აახლოებენ კომუნიზმის სრული გამარჯვების დღეს. (საქდესი).

ᲖᲔᲚᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ კაბელის დამამზადებელი ქარხანა მეორე წელია ძვირფას პროდუქციას იძლევა. საწარმოს კოლექტივმა უკვე შეასრულა წლიური დავალება. ამ წარმატებაში თავისი წვლილი მიუძღვის მოწინავე მწნეხავს ჯ. კაპანაძეს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲝᲜᲘ: ჯ. კაპანაძე.

ფოტო ბ. დადვაძისა.

„ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲡ ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲭᲘᲙᲭᲘᲙᲘ“

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ — ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐ

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ რაიონში კი არა, მთელ რესპუბლიკაში კარგად არის ცნობილი წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიეს იზოლდა წოწონავას სახელი, მისი რგოლის საქმეები.

სასიამოვნოა, რომ ჩაის კრეფის რეკორდსმენმა სასახელოდ შეასრულა პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისარი სოციალისტური ვალდებულება. 0,6 ჰექტარზე მიიღო 19,4 ტონა „მწვანე ოქროს“ მოსავალი, ხოლო მთლიანად რგოლმა ნაკისრი 35 ტონის ნაცვლად 40 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ნედლეული ჩააბარა წარმოებას.

იზოლდა წოწონავა იმისათვის ზრუნავს, რომ თავისი გამოცდილებით შეაიარაღოს რგოლის წევრები, დაეხმაროს მათ თავის დონემდე ამაღლებაში. შუქურას პირველი მომდევარი გახდა საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, კომკავშირელი დალი წიკოლავა, რომელმაც 0,5 ჰექტარზე ვალდებულებით ნაკისრი 4 ტონის ნაცვლად 6 ტონა ჩაი მოკრიფა.

წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობას მესამენდე შუქურაც ჰყავს. ყოველწლიურად შესანიშნავ შედეგებს აღწევს მერგოლური ბაგრატ სულაბერიძე. პირადად მან წელს ორი ჰექტარი ყანა დაამუშავა და საშუალოდ ჰექტარზე 64 ცენტნერი ხმელი მარცვალი ბიიღო. მისმა რგოლმა კი 9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 50 ცენტნერამდე მარცვალი მოიყვანა.

ასეთი შუქურებით რაიონის ხელმძღვანელებიც და კოლმეურნეობის მესვეურებიც კანონიერად ამაყობენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. კინწურაშვილს ან პარტბიუროს მდივანს გ. ფაჩუაშვილს ხშირად „აწუხებენ“. ზოგი შუქურებზე სახელდახელო, სასწრაფო ცნობებს სთხოვს მოსსენებისათვის, ზოგი სიტყვისათვის. ზოგი კიდევ გაზეთისათვის. ერთიც უნდა ვთქვათ: ამ ცნობების შემკრები რატომღაც ნაკლებად ინტერესებთ საქმის მდგომარეობა კოლმეურნეობაში.

თითქმის ყოველ თათბირზე, კრებაზე მზადა აქვთ სათანადო მაჩვენებლები ერთეულთა რეკორდებზე.

ზოგიერთებს სჯერა, რომ ერთეულების შედეგებით ფონს გავლენ, საერთო წარმატებას მიაღწევენ.

მაგრამ, როგორც იტყვიან, „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲡ“...

წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს კი სწორედ ეს გამორჩათ მხედველობიდან, ერთეულთა რეკორდების შემყურენი განცხრომას მიეცნენ. დაიკიწყეს მთავარი — კოლმეურნეთა ძირითადი მასა, მათთან ორგანიზატორული მუშაობა იმისათვის, რომ შუქურების მაგალითზე ესწავლათ დანარჩენებს.

ᲒᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ რაიონზე ან კოლმეურნეობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მოწინავე გამოცდილება იმ რგოლებსაც კი ვერ გასცდა, რომლებსაც შუქურები უდგანან სათავეში.

დამახასიათებელია, რომ კოლმეურნეობის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ბრიგადებმა, რომლებსაც ა. ზერაგია, გ. დანელია და მ. მაჭარაძე ხელმძღვანელობენ, სამი ტონით იმაზე ნაკლები ჩაი მოკრიფეს, ვიდრე მარტო იზოლდა წოწონავამ, რითაც დიდძალი ნედლეული დაკლეს სახელმწიფოს.

კოლმეურნეობაში ასამდე ჩაის მკრეფავია. მარტო იზოლდა წოწონავას რგოლმა კოლმეურნეობაში მთელი ჩაის თითქმის მეექვსედი მოკრიფა.

მეჩაიეთა მნიშვნელოვან ნაწილს არა თუ ვალდებულებები, ჩაის კრეფის გეგმებიც კი არ შეუსრულებია. ასეთები არიან შრომისუნარიანი კოლმეურნე ქალები მ. გელენიძე, შ. გოგავა, ზ. დარსაველიძე, პ. წეროვა, თ. კუხალეიშვილი, ც. ბართია, ე. ფარცვანია, ჭ. ესებუა, თ. ცაგარეიშვილი, თ. ჯიშკარიანი, ლ. სანოძე და სხვები.

ერთეულთა რეკორდები სრულიადაც არ აღმორნდა საკმარისი, რომ მთელი კოლმეურნეობა ფეხზე დამდგარიყო, მოწინავეთა რიგებში ჩამდგარიყო.

და აი კოლმეურნეობა, რობლის ხელმძღვანელები წარმატებებით იწონებდნენ თავს, მეურნეობის ყველა დარგში ჩამორჩა.

წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 146 და ვალდებულებით ნაკისრი 160 ტონის ნაცვლად მიმდინარე წელს მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა მხოლოდ 129,5 ტონა ჩაის ნედლეული, გეგმა 88 პროცენტით შეასრულა. სამრეცვლად ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 18 ცენტნერის ნაცვლად 13,4 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. ბოსტნეულის მოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე 11 ცენტნერს მიაღწია. ცხადია, ასეთი მოსავლით ის ხარჯებიც არ ანაზღაურებდა, რაც მიწის დამუშავებაზე გასწიეს. შემცირდა წველადობაც. გასული წლის შესამამის პერიოდთან შედარებით ათ თვეში თვითეულ ძროხაზე 137 კილოგრამით ნაკლები რძე მიიღეს.

ეს ციფრები თავისთავად მეტყველებენ თვითდინებაზე, იმაზე, რომ აქაური ხელმძღვანელები სუსტად იბრძვიან, რათა შრომის მოწინავე მეთოდები, შუქურების გამოცდილება ყველა კოლმეურნის კუთვნილება გახდეს.

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ცოტას მუშაობენ არა მარტო აღნიშნული კოლმეურნეობის, არამედ რაიონის ხელმძღვანელებიც.

პარტიის რაიკომის ბიურომ დიდი დაგვიანებით, ივლისის შუა რიცხვებში, გაანიხილა იზოლდა წოწონავას მეჩაიეთა ახალგაზრდული რგოლის გამოცდილების რაიონის კოლმეურნეობებში დანერგვის საკითხი. მაგრამ ამ განხილვას არა თუ სხვაგან, თვით წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობაშიც არ მოჰყოლია პრაქტიკული შედეგები.

რაიონის ხელმძღვანელებს არც იმაზე უზრუნიათ, რომ მეჩაიეებისათვის მოწინავე გამოცდილების სასწავლო ბოგერეთ, სადაც პრაქტიკულად ისწავლიდნენ მოწინავეთა შრომის ხერხებს. ამიტომაც არის, რომ რაიონის ათმა კოლმეურნეობამ ვერ უზრუნველყო ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის წლიური გეგმების შესრულება.

ჩანს, პარტიის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები სწორად არ იღებენ გეზს შუქურებზე, ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას არ ეწევიან იმისათვის, რომ დარაზმონ ადამიანები, წაახალისონ და დაეხმარონ მათ ისწავლონ და დანერგონ შრომის მოწინავე მეთოდები.

მოწინავე გამოცდილების შესწავლა და ფართოდ გავრცელება დიდმნიშვნელოვანი საქმეა. რაც უფრო უკეთ მოვაწყობთ ამ საქმეს, ᲘᲗᲘᲗ უფრო წარმატებით განვაახორციელებთ სკკპ XXII ყრილობის მიერ სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე დასახულ ამოცანებს.

Ш. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ,

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ საკ. კორ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲓᲔᲙᲐᲣᲢᲐᲢ Გ. Ა. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝ დეპუტატებო! სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც შემოტანილია უმაღლესი საბჭოს განსახილველად, მიზნად ისახავენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას, საბჭოთა კავშირის ყველა მომძმე ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, წარმოადგენენ დოკუმენტებს, რომლებიც მკაფიოდ ადასტურებენ ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის მისწრაფებას დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ.

ეს დოკუმენტები შეესაბამებიან სკკპ ისტორიული XXII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს, ჩვენი პარტიის პროგრამის მოთხოვნებს, ისინი შეესაბამებიან ყველა საბჭოთა ადამიანის მისწრაფებებს. ასახავენ პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას ხალხისათვის. და ეჭვი არ არის, რომ ჩვენ ყველანი, სესიის დამსწრე დეპუტატები, ერთსულოვნად მოვიწონებთ მათ

ჩვენი დიადი პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, სკკპ ახალი პროგრამის — თანამედროვე ეპოქის ამ ჰეშმარიტად კომუნისტური მანიფესტის მიღება, ანტიპარტიული ჯგუფის გადავრცთ განადგურება და სტალინის პიროვნების კულტის დაძლევა უდიდესი სიკეთე იყო პარტიისათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის. ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანას გადაეარა ახალმა სიო, რომელმაც წარმოშვა ხალხის ინიციატივის, თავისუფალი და გაბედული შემოქმედების, ხალხის მასების უდიდესი ენთუზიაზმის მძლავრი ტალღა.

სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებმა ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშიც. კისრულობენ რა ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს, საქართველოს საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები, სახალხო ინტელიგენცია თავდადებით იბრძვიან შვიდწლედის მისამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, რითაც თავიანთი წვლილი შეიქვთ ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების გადაჭრაში.

რესპუბლიკამ გარკვეული წარმატებები მოიპოვა სამრეწველო წარმოების დარგში. საკმარისია ითქვას, რომ შვიდწლედის ორ წელიწადში მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 15 პროცენტით ნაცვლად ამ წლებისათვის გეგმებით გათვალისწინებული 12 პროცენტისა. საერთო პროდუქციის საშალო-წლიურმა მატებამ შეადგინა 7,3 პროცენტი ნაცვლად დასახული 5.7 პროცენტისა. საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა 103 პროცენტით შესრულდა. მიმდინარე წელს რესპუბლიკაში გეგმის გადამეტებით წარმოებულია ისეთ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქცია, როგორიც არის ფოლადი, ნაგლინი, მილები, მარგანეცის მადანი, მინერალური სასუქები, ლითონსაჭრელი ჩარხები, ციმენტი, ჩაი და სხვ.

გასული ორი წლის მანძილზე რესპუბლიკაში გაშენდა დიდი მუშაობა საწარმოო სიმძლავრეთა გასაადიდებლად. მწყობრში ჩადგა 26 ახალი საწარმო. მათ შორის არის ჭიათურის მაღაროს და გამამდიდრებელი ფაბრიკა, ლაჯანურის ჰესი, ქუთაისის მეცირეგაბარიანი ტრაქტორების ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსადიდავი საამქრო და სხვ. ფართოვდება და შენდება ისეთი გიგანტები, როგორიც არის „დიდი ქიმიის“ ობიექტები ქალაქ რუსთავში. ენგურის ჰესი, მაღნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატი და ბევრი სხვა.

ჩვენში მრეწველობისა და მშენებლობის განვითარება წარმოებს ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის ნიშნით. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის მეცნიერებიც. მეცნიერებისა და წარმოების თანამშრომლობა განუწყვეტლივ ფართოვდება და მტკიცდება. საესხარულოა, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში დიდი წვლილი შეაქვს მეცნიერების 430 დოქტორს, 3.207 კანდიდატს. 170 სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებაში მუშაობს 9.000-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი. ქართველი მეცნიერები სულ უფრო მზარდი წარმატებით ეწევიან კვლევას მეცნიერების თითქმის ყველა დარგში.

მეცნიერებისა და წარმოების შემოქმედითს თანამშრომლობას ის მოპყავა, რომ სამრეწველო საწარმოებში უკანასკნელი წლების მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაცემულია ასობით მექანიზმი, ნაკადური და ავტომატური ხაზები, ავტომატები და ნახევრადავტომატები. მოხდა ჩარხების პარკის მნიშვნელოვანი განახლება. სამრეწველო მოწყობილობის მეტი ნაწილის მოდერნიზაცია. განუწყვეტლივ უმჯობესდება წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო დიდი მუშაობა „400“ მილსაგლინავი აგრეგატის კომპლექსური ავტომატიზაციისათვის, რაც რუსთავის მეტალურგიულ ქარხნის კოლექტივმა შეასრულა. აქ მთელ ტექნოლოგიურ ნაკადზე, რომლის სიგრძე ათას მეტრს აღემატება, მთლიანად ლიკვიდირებულია ხელის შრომა. ამავე ქარხანაში პირველად მილსაგლინავი წარმოების მსოფლიო პრაქტიკაში შექმნილია მექანიზმი ავტომატდგანზე სამართულების ავტომატურად შეცვლისათვის. რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებში ტექნოლოგიური პროცესის ავტომატიზაციამ და მექანიზაციამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ჩაის ნედლეულის დამუშავების მსვლელობაში მას არ ეხება ადამიანის ხელი. ყოველივე ამან უზრუნველყო ჩაის ფაბრიკების წარმადობის გადიდება 50 პროცენტით და მეტით. საწარმოო პროცესების კომპლექსურმა მექანიზაციამ და ავტომატიზაციამ შესაძლებლობა მოგვცა დაგეგეზოგა სახსრები რამდენიმე ათეული ახალი ჩაის ფაბრიკის ასაშენებლად.

რესპუბლიკის საკონსტრუქტორო ბიუროებისა და საწარმოების კოლექტივები წარმატებით მუშაობენ ახალი, სრულყოფილი ტექნიკის შესაქმნელად. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის მუშაკებმა დაამთავრეს ტ-8 ახალი მოდერნიზებული რვაღერძიანი ელმავლის კონსტრუქციის დამუშავება და დაამზადეს საცდელი ნიმუში, რომლის სიმძლავრე 25 პროცენტით აღემატება არსებულ 6-8 ლოკომოტივის სიმძლავრეს, თუმცა წონით იგი რამდენადმე უფრო მსუბუქია ამ უკანასკნელზე.

ქარხნის კონსტრუქტორები თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ელექტროტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივთან ერთად ახლა შრომობენ ტ-40 ახალი სამგზავრო ელმავლის შექმნაზე, რომელიც იმუშავებს ცვლადი დენით, ყველაზე მოწინავე ელმავალსამშენებლო ტექნიკის დონის პარამეტრებით. მისი კონსტრუქციული სიჩქარე იქნება 160 კილომეტრი საათში. ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა ათვისა და პირველად სსრ კავშირში გამოუშვა განუწყვეტელი მოქმედების, დოლური ტიპის სპეციალური მილდასამუშავებელი ჩარხების გამა. ამ ჩარხებზე სამუშაოთა მთელი პროცესი ავტომატიზებულია და მექანიზებულია. ჩვენმა მეცნიერებმა, მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა წარმოების მთელ რიგ დარგებში დანერგეს სამართავი გამოსათვლელი მანქანები.

ითვალისწინებენ რა იმ გარემოებას, რომ მარგანეცის ქართულ უნიკალურ საბადოს მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, მეტალურგიის, სამთო საქმის, გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტები ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან, რუსთავის ანზოტოვანი სასუქების ქარხანასთან, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან და სხვა დიდ საწარმოებთან ერთად მუშაობენ მარგანეცის მადნების ნაირსახეობათა ამოღების პროცესის გაუმჯობესებასა და ეფექტიან გამოყენებაზე. შემუშავებულია მარგანეცის მძლავრი შრეების სელექციური ამოღების მეთოდები, წარმოდგენილი და წარმოებაში დანერგილია ახალი სამაგრები, ორიგინალური კონსტრუქციების სატვირთავი მანქანები; იქმნება მადნების გამდიდრების ახალი სქემები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში შემუშავდა და განხორციელდა ელექტროლიზური, ლითონური მარგანეცის მიღების მეთოდი.

რუსთავის ანზოტოვანი სასუქების ქარხანაში ფართოდ იყენებენ ტექნიკური და სუფთა პერმანგანატის მიღების ელექტროლიზურ მეთოდს, რაც ჩვენს სახალხო მეურნეობას ათავისუფლებს ამ ძვირადღირებული პროდუქციის იმპორტისაგან, წარმოებს მანგანუმის აქტინური ორქანგის წარმოების საამქროს დაპროექტება და სხვ.

ხომ არც ისე დიდი ხნის წინათ იყო, ამხანაგებო, ის დრო, როცა საქართველოში არავითარი მრეწველობა არ ყოფილა! ახლა ჩვენს რესპუბლიკას აქვს თანამედროვე მრეწველობის თითქმის ყველა დარგი. ქართველი ხალხი ამაყობს იმით, რომ ჩვენს დროში მის უძველეს მიწა-წყალზე მზადდება ყველაზე თანამედროვე მანქანები და ხელსაწყოები—დაწყებული მძლავრი სამგზავრო ელმავლებით და დამთავრებული ურთულესი ზუსტი ელექტრონული ხელსაწყოებით.

ახლა რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა მთელი ყურადღება მიპყრობილია არსებული რეზერვების გამოვლინებასა და მათს გამოყენებაზე წარმოების გასაძლიერებლად. ერთ-ერთ ასეთ რეზერვად ჩვენ მიგვაჩნია მრეწველობის სხვადასხვა დარგში და უფნარეს ყოველსა მანქანათმშენებლობაში მასობრივი გამოყენების ნაკეთობების, კვანძებისა და დეტალების უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია. გაკვირვებას იწვევს, როცა ჩვენს ქვეყანაში — მაღალი ტექნიკური პროგრესის ქვეყანაში თუნდაც ერთი კლასის ნაკეთობანი კონსტრუქციულად მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მასობრივი გამოყენების კვანძებისა და დეტალების ფართო უნიფიკაცია შესაძლებელს გახდის ყველგან მოვახდინოთ სამრეწველო საწარმოთა მობილიზაცია, რომ მათ მოაგვარონ ამ კვანძებისა და დეტალების ცენტრალიზებული წარმოება, რაც მკვეთრად შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას. ეს ახალი საკითხი როდია. ამაზე არაერთხელ ითქვა, ბევრი დაიწერა პრესაში, მაგრამ არსებითად არავინ არ მუშაობს ამ უმნიშვნელოვანეს საქმეზე. ჩვენ ეფიქრობთ, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ბოლოს და ბოლოს ხელი უნდა მოკიდონ ამ დიდ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციამ მნიშვნელოვნად აამაღლა წარმოების ხელმძღვანელების დონე, დაუახლოვა იგი საწარმოებსა და მშენებლობებს. მართვის ამ სისტემამ საესებით გაამართლა თავისი დანიშნულება. ამასთან ერთად ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი მოითხოვს შემდგომ გაუმჯობესებას და ზოგიერთ გამარტივებას, ზედმეტი მრავალსფეხურიანობის ლიკვიდაციას. დიდი ყურადღების ღირსია ლვოელ მეფეტსაცმელეთა ინიციატივა, რომლებმაც შექმნეს პირველი საბჭოთა ფირმა „პარგრესი“. ამგვარი ფირმები შეიძლება წარმატებით მოეწყოს მრეწველობის დარგებში სამრეწველო საწარმოთა უმნიშვნელო რაოდენობით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სერიოზულად უნდა იმუშაოს სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესების საკითხებზე. ნაკლოვანებები ამ საქმეში შესამჩნევად იგრძნობა საქართველოს სსრ თითქმის ყველა სამრეწველო საწარმოში და მშენებლობებზე. საკმარისია ითქვას, რომ 1960 წელს და 1961 წლის ათ თვეში მარტო ნედლეულის უქონლობის გამო თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკაში მოცდენა შეადგენდა 200 ათასზე მეტ კაცსაათს, ტექნოლოგიური და ელექტროტექნიკური მოწყობილობის, სხვადასხვა აპარატების, აგრეთვე სარესპუბლიკათშორისო მიწოდებებით ლითონკონსტრუქციების ნაკლებობის გამო საფრთხეშია ისეთი უმნიშვნელოვანესი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ლითონსაფარის საამქრო, თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის № 2 კორპუსი, რუსთავის დიდქიმიანი სახლმშენებლობის ქარხანა და სხვები.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝ ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ XXII ყრილობაზე საესებით სწორად თქვა, რომ საგეგმო ორგანიზები ყოველთვის როდი აკავშირებენ წარმოებისა და მშენებლობის მოცულობებს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან, რაც ხშირად იწვევს წარმოების გეგმის შესრულების ჩაშლას, მშენებლობის ვადების გაგიაზურებას.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲝ დეპუტატებო! პარტიის ახალი პროგრამის შესაბამისად მომავალი ოცწლეულის მანძილზე საერთო პროდუქციის გამოშვება საქართველოს სს რესპუბლიკაში განზრახულია გადიდდეს 9-ჯერ. მანქანათმშენებლობის საერთო პროდუქცია განზრახულია გადიდდეს 40-ჯერ. მნიშვნელოვნად გაიზრდება ლითონსაჭრელი ჩარხების, ავტომობილების, ელმავლების გამოშვება. იმ ამოცანის გადასაჭრელად, რომ შემდგომ დაჩქარდეს განვითარება მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობისა, რომლებსაც, როგორც აღნიშნულია პროგრამაში, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური ხელახლა შეიარაღებისათვის, საჭიროა უზრუნველყოთ ლითონის წარმოების სწრაფი გადიდება და სამსხმელო ბაზის განვითარება.

ამ საკითხებში ჩვენი რესპუბლიკა სერიოზულ სიძნელეებს განიცდის. ამჟამად ჩვენში შეიქმნა დაძაბული მდგომარეობა თუჯისა და ფოლადის სხმულის მხრივ. მომდინარე შვიდწლედში ეს მდგომარეობა, განსაკუთრებით ფოლადის სხმულის მხრივ, კიდევ უფრო დაძაბული გახდება, თუ უახლოეს დროშივე არ ავამუშავეთ სხმულის წარმოების ახალი სიმძლავრეები. მდგომარეობას პირთულებს კიდევ ის, რომ მეზობელი ეკონომიური რაიონებიც განიცდიან სხმულის ნაკლებობას, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს კოოპერირებულ მიწოდებათა შესაძლებლობას.

რესპუბლიკაში ფოლადის სხმულის დეფიციტი 1963 წელს იქნება 5.000 ტონა, 1964 წელს — 8.000 ტონა, ხოლო 1965 წელს — 12.000 ტონა, თუ არ ჩავთვლით მოთხოვნილებას ფოლადის სხმულზე ელმავლების საეკიპაჟო ნაწილისათვის. მხედველობაში მიიღო რა ეს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საქართველოს სს რესპუბლიკისათვის გაითვალისწინა 1962-1964 წლებში ფოლადის სხმულის წარმოების სპეციალიზებულ სამძლავრეთა ამუშავება 20 ათასი ტონის მოცულობით. მაგრამ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს არ გამოუყვია სახსრები 1961 წლისათვის, აგრეთვე 1962 წლისათვის, რის შედეგადაც ფოლადსამსხმელო ქარხნის მშენებლობა დღემდე არ დაწყებულა. მხედველობაში ვიღებთ რა იმას, რომ რესპუბლიკის მრეწველობას ესაჭიროება სხმული, და ქარხნის მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმებს — 32 თვე, გთხოვთ გაითვალისწინოთ სახსრები ისეთი ოდენობით, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული ობიექტის ამუშავებას

მსოფლიოს მშრომელთა დიდი ასამბლეა

პროფკავშირთა მსოფლიო V კონგრესი

დარბაზობა კრემლში

მოსკოვი, 10 დეკემბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ კრემლის ყრილობათა სასახლეში დიდი დარბაზობა გამართა პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესის დელეგატების პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე აგოსტინო ნოველა, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლუი საიანი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარეები და მდივნები, ეროვნული პროფკავშირული ცენტრების ხელმძღვანელები, კონგრესის დელეგატები, მეთვალყურეები და სტუმრები.

დარბაზობაზე იუვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. პოროონოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, დ. ს. პოლიანსკი, ვ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ნ. პონომარიოვი, ა. ნ. შელეპინი.

სტუმრებს მიესალმა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი.

დარბაზობაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა.

დარბაზობის მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი.

9 დეკემბერს დილის სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია ლუი საიანისა და რბრაჰიმ ზაპარიას მოხსენებათა გამო. დარბაზში უცხოელ ამხანაგებთან ერთად არიან მოსკოვის ქარხნების, ფაბრიკებისა და ახალშენებათა პროფკავშირული აქტივისტები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

სიტყვა ეძლევა სალვადორის შრომის საყოველთაო კონფედერაციის წარმომადგენელს **ფერნანდო მარტელს.** ფ. მარტელმა აღნიშნა, რომ მისი კონფედერაცია პირველად მონაწილეობს მსოფლიო კონგრესში, და თქვა, რომ სალვადორის შრომელები ე. ი. მოწონებით შეხვდნენ პროფკავშირთა მოქმედების პროგრამას.

მკაცრ ბრძოლაში სალვადორის მეშუბემ მოიპოვეს პროფკავშირთა ორგანიზაციის უფლების, გაფიცვების, სოციალური დაზღვევის უფლების, კონსტიტუციური ალიარება. მაგრამ პრაქტიკულად ეს უფლებები სისტემატურად ფეხქვეშ თელენ.

საავტომობილო მრეწველობის მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის პროფკავშირთა ბრძოლას მოეფინა სიტყვა „ბრიტიშ მოტორ კორპორეიშნის“ საამქროთა მაპასახლისების კომიტეტის თავმჯდომარემ **თომას სტიუარტმა.** იგი ერთ-ერთი მეთვალყურეა ცხრა მეთვალყურეთაგან, რომლებიც ინგლისელმა ავტომობილმშენებლებმა გამოგზავნეს პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესზე.

შინ რომ დაბრუნდებიან, მუშებს გაეცნობთ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობას, აცნობენს თომას სტიუარტი. ორატორი მოუწოდებს სხვადასხვა ქვეყნის საავტომობილო მრეწველობის მუშებს გაერთიანონ ორნსიძეებანი თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლაში.

ერაყის პროფკავშირთა საყოველთაო ფედერაციის სახელით კონგრესს მიესალმა **ხანატურ არა.** მან აღნიშნა, რომ ეროვნული ძალების ერთიანობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ **ბრძოლაში** მოითხოვს მუშათა კლასის კანონიერ უფლებათა აღიარებას, რომელიც იბრძვის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის დასაცავად. ორატორი ამბობს, რომ, თუმცა ერაყში რევოლუციის შემდეგ მუშათა კლასის მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, მაინც ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ მომხდარა დიდი ცვლილებები.

ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, გაანგარიშობს ორატორი, რომ, მიუხედავად ყველა სიძნელისა, რომელსაც ერაყის პროფკავშირთა საყოველთაო ფედერაცია აწყდება, მან ცოტა წარმატებას როდი მიაღწია მუშათა მოძრაობის საქმიანობის სხვადასხვა დარგში.

10 მილიონზე მეტი მშრომელი შედის მოსამსახურეთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებაში. ყველა ისინი, თქვა **გაერთიანების** გენერალურმა მდივანმა **ვილი ალბრეხტმა,** კონგრესისაგან მოელიან გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობის განმტკიცებას, მშვიდობისა და სრული განიარაღებისათვის, კოლონიალიზმის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის გაძლიერებას.

ჩვენს დროში, ამბობს ორატორი, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ბრძოლას არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ხასიათიც აქვს. საფრანგეთის მშრომელები იბრძვიან ომს შეწყვეტისათვის ალჟირში, ბელგიის მოსამსახურეები — კონგოში კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, მთელი ევროპის მოსამსახურეები — გერმანიის საზღვარ ხელშეკრულების დადებისა და თავისუფალ დემილიტარიზებულ ქალაქად დასაქცევი ბერლინის გადაქცევისათვის.

საზეიმო დღე აქვს დღეს აფრიკის ქვეყნის ტანგანიკის ხალხს. კოლონიზატორთა თითქმის 80 წლის ბატონობის შემდეგ ეს ქვეყანა გახდა თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო. აუწყა რა დამსწრეთ ამის შესახებ, კონგრესის დღევანდელი სხდომის თავმჯდომარემ, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარემ **ბენუა ფრაშონმა** წაიკითხა წამოაყენა, რომ მისალმება გაეგზავნოს ტანგანიკის ხალხს. დელეგატები და სტუმრები მჭეხარე ტაშით იწონებენ ამ წინადადებას.

ანგოლის მშრომელთა ეროვნული კავშირის სახელით კონგრესზე გამოვიდა ამ კავშირის ვიცე-თავმჯდომარე **ბერნარდ დომბელე.**

დღეს, აცხადებს, იგი, მებრძოლი ანგოლის ხმას პირველად მოისმენენ

იმპერიალისტურ დემაგოგიასა და ფარისევლობას ბეშმარიტად საზღვარი არა აქვს! მონოპოლისტების ყვირილი „დამონებული ხალხების“ შესახებ იმ თაღლითის ყვირილს ჰგავს, რომელსაც სხვის ჯიბეში ჩაუყვია ხელი და გაიძახის: „დაიჭირეთ ქურდი!“.

ДАიჭირეთ ქურდი! ნახატი ი. სიჩევისა.

ნიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ჩვენ გულგრილი ვერ დავრჩებით. ჩვენმა ხალხმა უკეთ, ვინემ რომელიმე სხვა ხალხმა, შეიცხო კოლონიალიზმის საშინელებანი, მე გამოაცა მეზნებარებამ, რომლითაც ხრუშჩოვმა ამხილა ხატოს აგრესიული პოლიტიკა. ეს ხომ ამერიკის თვითმფრინავებს იყენებს საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე ნატოში, ჩვენი დებისა და ძმების მოსასპობად ალჟირში.

ჩატურ ალი, ინდოეთის დელეგაციის წევრი:

ეს შესანიშნავი სიტყვაა! მე იგი უდიდესი ყურადღებით მოვისმენე.

ს. სონტონი, ახალი ზელანდიის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის წარმომადგენელი:

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხრუშჩოვის გულახდილობამ, მისმა მეზნებარე მიხწრაფებამ საერთაშორისო მშვიდობისა და მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისადმი. ეჯვი არ მეპარება, რომ თქვენი ოცი წლის პროგრამა ვადაზე შესრულდება.

საღამოს სხდომაზე პირველი გამოვიდა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენელი **ჰასან აბდალა.** მან განაცხადა, რომ ამ კავშირის ძირითადი პრინციპებია ბრძოლა მშვიდობისათვის, კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, განათლების სისტემის რეფორმისა და დემოკრატიზაციისათვის, სტუდენტთა დემოკრატიული უფლებებისათვის.

— ჩვენ უაღრესად გვახარებს ის ფაქტი, — ამბობს ორატორი, — რომ აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკისა და კერძოდ დასავლეთ ევროპის სტუდენტთა ბევრ ორგანიზაციას, რომლებიც არ არიან სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის წევრები, უკვე ესმით ჩვენი პოლიტიკისა და ჩვენი პრინციპების სისწორე.

პორტუგალიის გვინეის პროფკავშირებისა და ხალხების სახელით სსრ კავშირის მშრომელებს სალამი გადასცა აფრიკის ამ ნაწილის მშრომელთა ეროვნული გაერთიანების მდივანმა **ლუის კაბრალმა.** მან მადლობა გადაიხადა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას V მსოფლიო კონგრესზე მიწვევისათვის. ამავდროულად, აღნიშნა ორატორმა, აფრიკის სულ უფრო მეტი სახელმწიფოები იღებენ დამოუკიდებლობას. კოლონიური სახელმწიფოები, სურთ მათ ეს თუ არა, იძულებულნი არიან დაემორჩილონ ხალხების ნებას, რომლებიც მოითხოვენ თვითგამორკვევის უფლებას. პორტუგალიის ფაშისტური მთავრობა ცდილობს შეინარჩუნოს კოლონიური ბატონობა ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ვერ შეძლებს ფეხქვეშ გათელოს აფრიკელთა ადამიანური ღირსება და თვითშეგნება. პორტუგალიის ფაშისტური მთავრობის პოლიტიკა, ისევე როგორც ექსპლოატაციის ყოველგვარი პოლიტიკა, განწირულია სრული კრახისათვის. პორტუგალიის გვინეის მუშები და გლეხები საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოლებენ კოლონიალისტთა წინააღმდეგ.

ტრიბუნაზე ადის დასავლეთ გერმანიიდან ჩამოსული სტუმრების დელეგაციის წარმომადგენელი ამხანაგი **ერნსტი.**

იგი აღნიშნავს, რომ მათი დელეგაციის წევრებისათვის, რომელშიც შედიან დასავლეთ გერმანიის 20-ზე მეტი ქალაქის პროფკავშირული აქტივისტები, სასიამოვნოა მოისმინონ კონგრესზე მუშათა კლასის უბრალო ნათელი ენა, რომლითაც უკვე დიდი ხანია არ ლაპარაკობენ დასავლეთ გერმანიის კონფერენციებზე. ერნსტმა თქვა, რომ დასავლეთ გერმანიის მეშუბისა და პროფკავშირთა წევრებს განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშვიდობის შენარჩუნებისათვის, რადგან მათი ქვეყანა გახდა ევროპაში ომის საფრთხის მთავარი წყარო. დასავლეთ გერმანიის მუშებს არა სურთ დაიხოცონ ნატოს საფრონტო ქალაქ დასავლეთ ბერლინისათვის.

სრულიად კვიპროსის შრომის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ანდრეას ზიარტიდისმა** დაიმოწმა თავისი ფედერაციის გამოცდილება და ილაპარაკა მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც შეეხება პროფკავშირულ მოძრაობაში, გამთიშველების წინააღმდეგ ბრძოლას, შრომელთა მოქმედების ერთიანობისათვის ბრძოლას.

კონგრესის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ტანგანიკის, ამ სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომელმაც მხოლოდ დღეს მოიპოვა დამოუკიდებლობა, **ჟოზეფ კლემენს როიგასურას,** მქუხარე ტაში გაისმა, როცა ორატორმა ტრიბუნაზე აღმართა ამ ყველაზე ახალგაზრდა დამოუკიდებელი კეკენის სახელმწიფო ალამი.

ჟოზეფ კლემენს როიგასურამ იილაპარაკა თავისი ხალხის ბრძოლაზე კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ. მრავალი წლის განმავლობაში ტანგანიკის ჩაგრავდნენ უცხოელი კაპიტალისტები. მათ დატოვეს მძიმე მემკვიდრეობა — სიღატაკე, უმეცრება, ავადმყოფობანი.

ორატორმა დაახასიათა უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც დგას ტანგანიკის წინაშე, უნდა მოეწყოს ბეევრი სკოლა, მოიცხოს უწიგნურობა, ამაღლდეს მოსახლეობის ცხოვრების დონე.

ნებას არ მივცემთ ჩრდილოეთამერიკელ იმპერიალისტებს გადაეხვიონ მსოფლიო ახალ ომში, რომელიც ტრაგედია იქნებოდა კაცობრიობისათვის, ხაზი გაუსვა თავის გამოსვლაში კოსტა-რიკის მშრომელთა საყოველთა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **სიერა კანტელიო გონსალ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲗ

ᲓᲐᲤᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ

მოასფალტებული გზატკეცილი ცენტრუსების ხშირ პლანტაციებს შუა მიდიოდა. მარცხნივ, ვრცელი მწვანე სამეფოს კიდეზე, ჩანდა მშვენიერი ურთა, რომელიც გზატკეცილს გაყოლებით ათობით კილომეტრზეა გადაჭიმული. ჩემმა თანამგზავრმა, ხეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ვარლამ ხორავამ, აქაური სუბტროპიკების ვეტერანმა, აღტაცებით თქვა:

— აი ჩვენი მარგალიტი! მალე შინ ვიქნებით.

ყველაფრით ჩანდა, რომ ვარლამისათვის ურთის მთა მართლაც მშობლიური სახლია, ის ადგილია, რომელიც მას სულით და გულით უყვარს.

მანქანამ ჩიუქროლა ციპში, დაფნის ნარგავებში ჩაფლულ დიდ სოფელს, რომლის შესახებ არქანჯელო ლამბერტი თავის „კოლხიდის აღწერაში“ სამას წელზე მეტი ხნის წინათ წერდა: ციპის მთები დაფნით არის სავსეო.

ურთის სამხრეთ-დასავლეთი ფერდობები დაფნის ნამდვილი სამეფოა. ამ მცენარის ატეხილი ტყე შორეული მთებიდან თითქმის გზატკეცილამდე აღწევს. მთების ქვიან-კირიანი ნიადაგი განსაკუთრებით ხელსაყრელია მისი განვითარებისათვის. ზოგჯერ პირდაპირ შიშველ ქვაზე, მის ნაპრალში ამოსულ დაფნას დაინახავთ. მთა, როგორც მაგარი კედელი, იცავს დაფნის მცენარეებს, და ისინი აქ ყოველგვარ ყინვას უძლებენ.

ჩავუქროლეთ ლამაზ პატარა ტბას და უკან მოვიტოვეთ საბჭოთა მეურნეობის კოხტა, მყუდრო დაბა. აქედან თვალწინ გადაგეშალა მომხიბლავი სურათი. დაფნით დაფარული უცნაური ფორმის კლდეები, ციტრუსოვანთა ახალგაზრდა ხეები, პატარა ტბების ელვარება. მთის სუფთა ჰაერი როგორლაც განსაკუთრებით ამხნევებენ ადამიანს და უძლიერებენ წარმოსახვის უნარს. სიტყვებით ძნელია გამოხატვა სიხარულისა, რომელსაც განიცდი, როცა ხედავ ბუნების ამ სილამაზეს, ადამიანის ხელით გამდიდრებულს.

ვარლამ ხორავა ერთ-ერთი მესვეურია ახალგაზრდა საბჭოთა მეურნეობისა ურთაზე, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით შემოიღო თვითნათესი დაფნის გადაქცევა კულტურად. ველურ მცენარეს ადამიანები სარეწველო და სასაქონლო მცენარედ ხდიან. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი თანდათან აფართოებს თავის პლანტაციებს. მან უკვე ამოძირკვა და გაწმინდა სამას ჰექტარზე მეტი ტყე. 118 ჰექტარზე ველური მცენარეები დაფნის კულტურულ პლანტაციებად გადაიქცა. გარდა ამისა, გააშენა 108 ჰექტარი მანდარინი, 37 ჰექტარი ლიმონი, 14 ჰექტარი ფორთოხალი, 10 ჰექტარი ზეთისხილი და 5 ჰექტარი კაკალი. აი რა სამდიდრე შექმნა ახალგაზრდა კოლექტივმა!

1957 წელს მან ჩააბარა 23 ტონა დაფნის ფოთოლი, გასულ წელს — 45 ტონა. უკვე ახლა საბჭოთა მეურნეობა დაფნის მწარმოებელ ერთ-ერთ უდიდეს მეურნეობად იქცა საბჭოთა კავშირში.

ვარლამმა გამაცნო მთავარი აგრონომი გ. ჩაგანავა, დაფნის საქმის ისეთივე ვეტერანი, როგორიც თვითონ არის.

— როგორ აგროტექნიკას იყენებთ დაფნის პლანტაციებში? — ვკითხე მას.

— დაფნა მოგვყავს ისეთივე ხერხების გამოყენებით, როგორც ჩაი. ნიადაგს სამჯერ ვთოხნით, გაზაფხულზე და ზამთარში ვბარავთ, ორჯერ შეგვაქვს მინერალური სასუქები, ვმკურნალობთ ზეთის ემულსიით და ბორდოს სითხით.

დაფნის ხეების გარშემო ტყის ამოძირკვა და მათი მოვლა ძალიან შრომატევადი სამუშაოა, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან ეფექტიანია. ჩვენ უკვე ახლა ჰექტარზე ვიღებთ 1.200 კილოგრამ ხმელ ფოთოლს, ხოლო უზამთესავლიანი რაკვეთები სამ-სამ ტონას გვაძლევენ. ორი-სამი წლის შემდეგ საშუალო მოსავალი უფრო დიდი იქნება. შემოსავალს ჰექტარზე ძალიან დიდს ვიღებთ — ასი ათას მანეთზე მეტს ძველი ფულით.

საბჭოთა მეურნეობაში სუბტროპიკული კულტურების შესანიშნავი ოსტატები აღიზარდნენ. მათ შორის გამოცდილი აგრონომი ევსევი იოსავა, ბრიგადირი გიორგი ქირია, მუშები ბარბარე სუხინი, ეკატერინე რაგულინა, ამირან გოკაძე, გივი ჩარგაზია და სხვები.

ურთის მთა მართლაც ოქროს მთაა. საბჭოთა მეურნეობა სწრაფად ვითარდება და ყოველ წელიწადს დიდ მოგებას იძლევა. როცა ვარლამმა შვიდწლედის ცოფრები დამისახელა, გავოცდი. 1965 წელს მეურნეობა სახელმწიფოს ჩააბარებს 90 ტონა დაფნის ფოთოლს, 385 ტონა მანდარინს, 206 ტონა ფორთოხალს, ორ მილიონ ცალზე მეტ ლიმონს. იგი სულ ჩააბარებს 12,7 მილიონი მანეთის პროდუქციას, აქედან წმინდა მოგება იქნება 8,5 მილიონი მანეთი.

ახლა მედაფნეებს გაბედული აზრები ებადებათ. ისინი აყენებენ საკითხს, რომ საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია გაფართოვდეს მეზობელი მიწების ათვისებით იმავე ურთაზე. იქ გარშემო დაფნის ტყეა. შეიძლება შემოიმატონ კიდევ ასობით ჰექტარი. მაგალითად, ციპში შეიძლება შეიქმნას მეორე, კიდევ უფრო დიდი მეციტრუსეობა-მედაფნეობის საბჭოთა მეურნეობა.

საქართველოს დაფნის ნარგავების უნიკალური ფართობები აქვს. ამ კულტურის განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობებია ხობის, ზუგდიდის, ვანის, ლანჩხუთის, სამტრედიის, მახარაძის, ცხაკაიას რაიონებში და აფხაზეთისა და აჭარის თითქმის ყველა რაიონში.

დაფნა უაღრესად პერსპექტიული კულტურაა. მოსახლეობა კარგად იცნობს ამ შესანიშნავ დეკორაციულ მცენარეს და უყვარს იგი. დაფნის ფოთოლი განსაკუთრებულ გემოსა და არომატს აძლევს კონსერვებს, ბოსტნეულსა და საჭმელს. ხმელი დაფნის ფოთოლს იყენებენ როგორც სანელებელს სხვადასხვა საჭმლისათვის და ხილ-ბოსტნეულის, საკონდიტრო, ხორცისა და თევზის მრეწველობაში.

ამჟამად საქართველო ჩვენს ქვეყანაში დაფნის ფოთლის ძირითადი მიმწოდებელია. იგი სსრ კავშირში წარმოებული მთელი დაფნის ფოთლის 80 პროცენტს იძლევა. თუ 1953-54 წლის სეზონში რესპუბლიკამ 413 ტონა დაამზადა, 1960-61 წელს უკვე 1.184 ტონა ჩააბარა.

წელს საქართველომ ვალდებულება იკისრა ჩააბაროს სახელმწიფოს 1.300 ტონა დაფნის ფოთოლი, ხოლო 1965 წელს — 4.400, ესე იგი სამჯერ და უფრო მეტი, ვიდრე დასახული იყო შვიდწლიანი გეგმით. კოლეგურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ექვსი ათასი ჰექტარი ახალი პლანტაციები გაშენდება. საქართველოს მედაფნეებმა ამოცანად დაისახეს უახლოეს წლებში მთლიანად უზრუნველყონ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება დაფნის ფოთოლზე.

ახლა მედაფნეობის თვითეული რაიონი ცდილობს გაფართოოს თავისი პლანტაციები. გაძლიერდა პლანტაციების გაშენება სამტრედიის, ზუგდიდისა და ხობის რაიონებში, აფხაზეთსა და აჭარაში. ზუდა ეწერის საბჭოთა მეურნეობამ რვა ჰექტარი გააშენა და ნიადაგი მოამზადა ჩვიდმეტი ჰექტარისათვის. მეურნეობამ ორი ჰექტარი თავისი საკუთარი სანერგე შექმნა ნერგების გამოსაყვანად.

...აკადემიკოს ქ. ე. ბახტაძის მაგიდაზე დაფნის ხის ყლორტების საინტერესო კოლექცია აწყვია. აქ ორმოცზე მეტი სხვადასხვა ფორმაა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფოთლის სიხშირით და არომატით. სოფლის მეურნეობის მეცნიერები ბიოთა კანდიდატი ვალერიან გვასალია, რომელიც ამჰ. ბახტაძის ხელმძღვანელობით მუშაობს, ორი წლის განმავლობაში ეწეოდა დასავლეთ საქართველოს ძირითადი რაიონების დაფნის ნარგავების გამოკვლევასა და შესწავლას. დაფნის ხის სხვადასხვა ფორმებში, რომლებიც მეცნიერებმა შეარჩიეს, აღმოჩნდა მკვეთრი განსხვავება ეთეროვანი ზეთის შემცველობის მხრივ, რაც 0,9-დან 3,5 პროცენტამდე მერყეობს. დიდი განსხვავებაა ფოთლის მოსავლიანობაშიც — ერთიდან ოთხ და მეტ ტონამდე ჰექტარზე.

— ამ საუკეთესო. შერჩეულ დედამცენარეთა შთამომავლობა, — ამბობს ბახტაძე, — ახლა სამ ადგილას გამოგვყავს: ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სასამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვისა და ზუგდიდის ფილიალებში და ქობულეთის რაიონის კვირიკეს საბჭოთა მეურნეობაში. მეცნარეებს შპალერული კულტურის მეთოდით ვზრდით. ყოველმხრივ ვსწავლობთ მათს ბიოლოგიას, ეკოლოგიას, ბიოქიმიას, ვამუშავებთ აგროტექნიკის საკითხებს და სხვ.

ქალბატონ ბახტაძესთან ერთად ვიყავით ზუგდიდში. ვალერიან გვასალიამ თავისი საცდელი ნაკვეთები გვიჩვენა.

ამ ნაკვეთების ნახვა გულს ახარებს. თვითეული მწკრივი დაფნის ხე მეორეს ეჯიბრება თავისი თვისებებით, კორნის სიგანითა და სიმაღლით. ზოგიერთი ახალგაზრდა ხე პირდაპირ მშვენიერებაა. „ესენი ჩემი გმირები არიან“, — სიყვარულით ამბობს მათ შესახებ ენერგიული სელექციონერი. ერთ მათგანს — № 18 მწკრივში — გვერდით ამოვუდექი, და იგი ჩემზე მაღალი აღმოჩნდა, თუმცა სულ ორი წლისაა. ეს დეკმირი გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნახუნავოდან არის. აქ, ზუგდიდში, ოცი გრადუსი ყინვები ისე გადაატანა, რომ ოდნავ არ დაზიანებულა. აკადემიკოსმა ბახტაძემ გულთბილად მოიხსენია გვასალიას მრავალმხრივი ცდები.

ზუგდიდში გაშენებულია დაფნის ხის ორი ჰექტარი სადედე პლანტაცია. 1963 წელს აქ პირველ თესლს მიიღებენ.

მეთესლეობის საკითხი ძალიან მწვავედ დგას. საქართველოში აბსოლუტურად ყველა პირობაა მედაფნეობის გაფართოებისათვის, მაგრამ არ არის საკმაო თესლი.

დაფნის ხის ნარგავებს შორის ორსახლიანი მცენარეები სჭარბობს, ერთსახლიანი იშვიათად გვხვდება. ამ მიზეზით სუბტროპიკულ მეურნეობაში სპეციალური სათესლეები არ არის, ერთეულ ხეებს თუ არ ვიანგარიშებთ. გვასალიამ შეიმუშავა საკრეფი ნარგავების სათესლედ გადაყვანის მეთოდი. დაკალმების გზით და გადაწვენით იგი ვეგეტაციურად ამრავლებს ორსახლიან სადედე ხეებს. ახალგაზრდა ნარგავებში შეძლო გამოეყო ქალური ეგზემპლარები თესლის მისაღებად. ვეგეტაციური გამრავლების ახალი ხერხები შესაძლებელს გახდის უახლოეს წლებშივე მკვეთრად გავადიდოთ დაფნის თესლის წარმოება.

გ. კლეპაკინი.

• • •

სურათზე: ხეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. ხორავა და აგრონომი ე. იოსავა დაფნის პლანტაციაში.

ფოტო ბ. სოკოლოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა საუნივერსიტეტო ზეპირი ჟურნალების კითხვა, რომლებიც საინტერესოა თემატური მრავალფეროვნებითა და მდიდარი შინაარსით.

ამ დღეებში უნივერსიტეტის საატო დარბაზში კვლავ შეიკრიბნენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუმრები, რომლებიც აქ მოვიდნენ საუნივერსიტეტო № 3 ზეპირი ჟურნალის კითხვის მოსასმენად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შედეგებზე და მომავალ ამოცანებზე დამსწრეთ ესაუბრა დოცენტი ო. ბაქანიძე.

საინტერესო იყო სიცოცხლის წარმოშობაზე აკადემიკოს ვ. ასათიანის საუბარი.

ინდოეთის კინოფესტივალზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე ილაპარაკეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა მ. კვესელავამ და მსახიობმა ზ. ბოცვაძემ.

„გაახალგაზრდავება“ კოსმოსური ფრენის დროს — ასეთი იყო პროფესორ მ. მირიანაშვილის საუბრის თემა, რომელმაც მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ამ დღეს უნივერსიტეტელთა სტუმარი იყო აგრეთვე ცხობილი მეყვავილე-დეკორატორი მ. მამულაშვილი, რომლის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა დამსწრეთ გააცნო დოცენტმა ს. ხუციშვილმა.

ზეპირი ჟურნალის კითხვის დასასრულს ნაჩვენები იქნა რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

ᲡᲐᲮᲔᲡ ᲘᲪᲕᲚᲘᲡ...

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეთა ქალაქს კიდევ ერთი ახალი კვარტალი შეემატა — თბილისის ქუჩაზე უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე შეიქმნა ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლების შესანიშნავი ანსამბლი. ამ დღეებში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ოცდაოთხბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის ახალმოსახლეები არიან სოციალისტური შრომის გმირ შ. კუბლაშვილის, კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელ ი. არსენიძის, სამთო ოსტატ ა. ცირეკიძისა და სხვათა ოჯახები.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲔᲙᲕᲐᲓᲝᲠᲨᲘ

თავიანთი ტურნეს მეშვიდე შეხვედრა დინამოელებს ჰქონდათ ეკვადორის არაერთგზის ჩემპიონ „ბარსელონასთან“.

შეჯიბრებას 50 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო და განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. მაფარ სპორტულ პაექრობაში გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 2:1. ბურთები გაიტანეს ბ. მერისალდმა, თ. მელაშვილმა და ზ. კალოევმა.

ადგილობრივი პრესა მაღალ შეფასებას აძლევს დინამოელთა მაღალტექნიკურ თამაშს. იგი თითქმის ერთხმად აღიარებს, რომ დინამოელებმა თავიანთი ძლიერი და შეწყობილი თამაშით სავსებით სამართლიანად დაიმსახურეს მაყურებელთა სიმპათია.



ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲘ—ᲛᲔᲝᲗᲡᲔᲓᲔᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალური შეჯიბრება კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის, რომელიც ამას წინათ გაიმართა ბუქარესტში თბილისის „დინამოსა“ და რუმინეთის ჩემპიონის — „ზვეზდას“ გუნდებს შორის, როგორც ცნობილია, ქართველ სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა.

ამ გუნდების მეორე შეხვედრა, რომელიც 9 დეკემბერს შედგა თბილისის სპორტის სასახლეში, კალათბურთის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევდა.

მატჩი ხასიათდებოდა შეუპოვარი ბრძოლით. პირველი ტაიმის შედეგი იყო 45:28 თბილისელთა სასარგებლოდ. შეჯიბრების მეორე ნახევარში სტუმრები უფრო აქტიურად იბრძოდნენ, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ დააღწიეს თავი.

დინამოელებმა გაიმარჯვეს 82 : 77 და მეოთხეფინალში გავიდნენ.

• • •

სურათზე: თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

რედაქტორის მოადგილე

გ. ᲕᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲘᲫᲔ.



ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

12 დეკემბერი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — მინდია, რუსთაველის სახელობის — თანამედროვე დრამატული, გრიბოედოვის სახელობის — ბებერი სულელი (I აბონ. მე-4 წარმ.), ხანკულტურის — თეთრი კურდღელი, თოჯინების ქართული — ზარმაცი კოკო (11 ს.), შვილის ნუკრი (2 ს.).

კინოები: რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, თბილისი, საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — ვარდები ბატონ პროკურორისათვის, ამირანი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კოლხიდა, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი, გაზაფხული — ამერიკა ფრანგის თვალით, სპარტაკი, თეატრალური საზოგადოების ბაღი, თანამგზავრი — თორმეტი გაბრაზებული მამაკაცი, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი, ციოლის სახელობის პარკი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) —იგი ერთ ზაფხულს ცეკვავდა, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — უცნობი ქალი, საქართველო (მწვანე დარბაზი) — ვესიოკა, გორკის სახელობის კულტურის სახლი — გზის დასასრული, კოლმეურნე — ენეურის ნაპირებზე, დიდუბე — ბრძოლა გზაში (პირველი სერია), ადგილობრივი მრეწველობის რესპუბლიკური სახლი — უდაბლომო სასიძო, მილიციის კლუბი—დარკლე.



ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ზალპები“, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „პიონერული ორწლედი“, 18.40 — კინონარკვევი, 19.00 — გადაცემა ციკლიდან — „სკკპ პროგრამა მოქმედებაში“, 19.20 — კონცერტი, 19.45 — ახალი ამბები, 20.00 მხატვრული ფილმი — „დავით გურამიშვილი“ (მაყურებელთა თხოვნით).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

აცხადებს კონკურსს კლინიკური ორდინატურის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე სპეციალობაში — ბავშვთა ინფექციური დაავადებანი.

ორდინატურაში (სწავლების ვადა ორი წელი) მიიღებიან უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირები არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, რომლებსაც ექნებათ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე სამი წლის სტაჟი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ინსტიტუტის რექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ განცხადებები შემდეგი საბუთების თანდართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, ფოტოსურათი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ნოტარიული პირი, ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, დაბადების მოწმობა (ნოტარიული პირი), რაიონის მთავარი ექიმის რეკომენდაცია.

პასპორტს და დიპლომს წარმოადგენენ პირადად.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა. განცხადებები მიიღება სამედიცინო ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში — მელიქიშვილის ქ. № 10.

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘᲗ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲫ ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘᲡ ᲨᲣᲠᲜᲔ

უჩვეულო ტრიუმფით გრძელდება შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში დაწყებული საგასტროლო ტურნე სკანდინავიის ქვეყნებში. საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტებმა მოხიბლეს ათი ათასობით მაყურებელი სტოკჰოლმში, გეტებორგში, ერებრუნში, ესტერსუნდში და ახლა აღტაციების შეძახილები, მქუხარე ოვაციები ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გაისმა.

ქართველ მოცეკვავეთა გამოსვლები ნორვეგიელთათვის გაუგონარ ფანტასტიკად იქცა — „ჩვენ ქედი მოვიხარეთ ამ ანსამბლის წინაშე კონცერტის დაწყებიდანვე, როდესაც ვნახეთ პირველი ცეკვა „ფარცა“, ხოლო ზღაპრული ფინალის ნახვისას, უსაზღვრო იყო ჩვენი გაოცება. რამდენადაც გრაციული, ზღაპრული და ნარნარია ქალთა ცეკვა, იმდენად სასწაულებრივი, ელვისებური და ტემპერამენტიანია ვაჟ მოცეკვავეთა ყოველი მოძრაობა. ქართული ცეკვები სრულიად განსხვავდებიან სხვა ცეკვებისაგან“ — ასე წერდა ნორვეგიული გაზეთი „არტენპოსტენი“ ნორვეგიის სამეფო ოპერის თეატრში გამართულ ქართველ მოცეკვავეთა კონცერტების შესახებ.

მაღალ შეფასებას აძლევს ანსამბლის გამოსვლებს გაზეთი „არბაიდერბლადეტი“, რომელიც წერს: „კონცერტი დაწყებული არ იყო, რომ დარბაზი ჰქუხდა და ძნელია ენით გამოხატო ის, რაც შემდეგ მოხდა. ცეკვის ტემპთან ერთად იზრდებოდა ოვაციებისა და შეძახილების ტალღა. ასეთი რამ ნორვეგიაში იშვიათად ხდება.

მრავალფეროვანი და მდიდარი ფანტაზიის მქონე ანსამბლიბ მოცეკვავეებს ისეთი ტემპერამენტი და ტექნიკა აქვთ, რომ მაყურებელს სუნთქვა ეკვრება“.

ამ დღეებში ქართული ცეკვები და მათი შემსრულებლები ნორვეგიის პრესის ყურადღების ცენტრშია. ვრცელი რეცენზიებისა და ილუსტრაციების გვერდით იბეჭდება ქართული ცეკვის სხვადასხვა მოძრაობის, ილეთის ამსახველი ჩანახატები, აგრეთვე ცალკეულ მონაწილეთა გრაფიკული პორტრეტული ჩანახატები.

ნორვეგია აღტაცებულია. საგასტროლო ტურნე გრძელდება.

ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲡ

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა, ჩვენი ქვეყნის საჰადრაკო სპორტის მოყვარულნი დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს მსოფლიო ჩემპიონ ე. ბიკოვასთან მატჩის პრეტენდენტთა ტურნირს, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში მიმდინარეობდა და საბჭოთა საჰადრაკო სკოლის ახალი ტრიუმფით დამთავრდა.

ამ დღეებში, რესპუბლიკის საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ეწყობა მრავალი გულშემატკივრის გულითადი შეხვედრები ტურნირში გამარჯვებულთან თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტ ნონა გაფრინდაშვილთან.

ჰადრაკის საერთაშორისო ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი და მისი მწვრთნელი ოსტატი მ. შიშოვი ამ დღეებში მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა.

ნ. გაფრინდაშვილმა და მ. შიშოვმა უამბეს მას, როგორ მიმდინარეობდა ტურნირი, გაუზიარეს თავიანთი მომავლის გეგმები, გულითადი მადლობა გამოთქვეს მთავრობისა და რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობისადმი ყურადღებისა და ზრუნვისათვის, რომლითაც ისინი იყვნენ გარემოსილი ტურნირის დროს. საუბარი შეეხო აგრეთვე საქართველოში საჰადრაკო სპორტის განვითარების პერსპექტივებს.

გ. დ. ჯავახიშვილმა გულთბილად მიულოცა ნონა გაფრინდაშვილს დამსახურებული გამარჯვება, უსურვა წარმატება სწავლაში, სპორტში, მომავალ პასუხსაგებ შეხვედრაში მსოფლიო ჩემპიონის სატიტო წოდებისათვის. ახალგაზრდა მოჰადრაკეს და მის მწვრთნელს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. (საქდესი).

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

△ **ᲐᲠᲒᲘᲜᲘᲡ** ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა, რომელიც სტუმრად ინდოეთში იმყოფება, მორიგი მატჩი გამართა კალკუტაში ადგილობრივი საკლუბო გუნდის „მაჰუნ-ბაგინის“ წინააღმდეგ და გაიმარჯვა 4:0.

△ **ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝᲨᲘ** გაიმართა მატჩი კრიეში მსოფლიოს ახსოლუტურ ჩემპიონ პატერსონსა და მაკნილის შორის. მეოთხე რაუნდზე ნოკაუტით გაიმარჯვა პატერსონმა და შეინარჩუნა ახსოლუტური ჩემპიონის ტიტული.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲗᲐᲜ

სატურნირო ცხრილში სიცხადის შეტანად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გადადებული პარტიებს დამთავრებას.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტალი ბევრს ეცადა ლეონთან გადადებულ პარტიაში გადამწყვეტი უპირატესობისათვის მიეღწია, მაგრამ ვერაფერს გახდა და 81-ე სვლაზე ყაიმს დასჯერდა. ვერც სმისლოვმა შეძლო ვასიუკოვთან გადადებულ პარტიაში გამარჯვებისათვის საჭირო გზის მოძებნა და გათამაშების ცხრილში ნახევარი ქულა ჩაიწერა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ავერბახ-ხოლმოვის, ლეონ-ბაგიროვისა და სმისლოვ-კოცის პარტიებში.

პოლუგაევსკის თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდა ბაგიროვთან გადადებულ პარტიაში და იგი გამარჯვებით დამთავრა. ვლადიმიროვმა მოუგო გურგენიძეს, კერესმა — კოცს, ხოლმოვმა — ვასიუკოვს, ტაიმანოვმა — ხასინს.

ბაკო, 11 დეკემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს გაიმართა ჩემპიონატის მე-16 ტური.

გურგენიძემ ვერ შეამჩნია მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ტალის ტაქტიკური მუქარა, დაკარგა ხარისხი და 35-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო. მეოთხე წარუმატებლობა განიცადა სმისლოვმა. ამჯერად მან წაგო ბრძოლა გიპსლისთან. კოცმა მოუგო ხოლმოვს, პოლუგაევსკიმ — ავერბახს, ნეიშტადტინოვმა — ბაგიროვს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

16 ტურის შემდეგ ლიდერობას კვლავ სასაკი ინარჩუნებს, რომელსაც 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს 15-დან; პოლუგაევსკის — 10,5 ქულა აქვს 15-დან, ხოლმოვს — 9,5 ქულა 16-დან, ავერბახს — 9 ქულა 16-დან.

ხვალ გაიმართება მორიგი, მე-17 ტური. ამ დღის ცენტრალურ პარტიას წარმოადგენს ტალისა და სპასკის შეხვედრა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. ერთმანეთს ეცილება მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის 16 გუნდი.

პირველი დღის ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა ბელორუსიისა და რსფსრ გუნდების შეხვედრა. ეს შეჯიბრება დამთავრდა ანგარიშით 4:4. წმინდა მოგებათა რაოდენობით გამარჯვება ბელორუსიის მოჭიდავეთა კოლექტივს მიეკუთვნა.

საქართველოს გუნდმა პირველი დღის ორი შეხვედრიდან ორივე მოიგო — დაამარცხა ლენინგრადისა და მოლდავეთის გუნდები.

სომხეთის გუნდმა მოუგო ლიტვის მოჭიდავეებს, ლატვიამ — ტაჯიკეთს, უკრაინამ — უზბეკეთს, ესტონეთმა — აზერბაიჯანს, მოლდავეთმა — ყირგიზეთს.

შეჯიბრება გრძელდება.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲠᲔᲠᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲘᲐᲢᲐᲙᲥᲕᲔᲨᲔᲚ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲐᲦᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

თერთმეტ დღეს გასტანა „შავ ბაზარზე“ ოქროს მოვაჭრეთა გასამართლებამ.

დარბაზში დამსწრეთა თვალწინ, სამსჯავრო სხდომაზე, რომელსაც დ. ბაღათურია თავმჯდომარეობს, იშლებოდა ჯაჭვი.

ჯერ კიდევ სამსჯავრო გამოძიების დროს საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა სასამართლოს შემადგენლობას სთხოვა გამოეძებნინა ლენინგრადელი ვალუტით მოვაჭრის შაპიროს ჩვენება, რომელშიც მან საგამოძიებლო ორგანოების წინაშე აღიარა თავისი ბოროტმოქმედება, არ დაუმალავს თავისი ბნელი საქმის არცერთი კუნჭული. სასამართლოს წინაშე რესპუბლიკის პროკურორის შუამდგომლობის მიზანი იყო განემტკიცებინა ბრალდება სამართალში მიცემული კაკიაშვილისადმი.

ბრალდებული შაპირო აჩვენებს, რომ ის მსგავალ სავალუტო ოპერაციებს ატარებდა არა მარტო მორდეხ კაკიაშვილთან, არამედ მის შვილთანაც, და დასძენს, რომ ადრე მან, შაპირომ, არ იცოდა, თუ იგი მორდეხის შვილი იყო.

სამსჯავ